ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება N

2026 წლის _____თებერვალი

ქ. ოზურგეთი

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების სამსახურებრივი უფლებამოსილებების განსახორციელებლად საჭირო ავტოპარკის გადანაწილებისა და კლასიფიკაციის წესის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 24-ე მუხლის მე-2 ნაწილის, 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილების, „ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლი მე-2 პუნქტისა და ,,სახელმწიფო ავტოპარკის გადანაწილების, კლასიფიკაციისა და სამსახურებრივი ავტომანქანის შესყიდვის წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2014 წლის 6 თებერვლის №121 დადგენილების მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის გათვალისწინებით, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ა დ გ ე ნ ს :

მუხლი 1. დამტკიცდეს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სამსახურებრივი უფლებამოსილების განსახორციელებლად საჭირო ავტოპარკის გადანაწილებისა და კლასიფიკაციის წესი დანართი №1-ის შესაბამისად.

მუხლი 2. დამტკიცდეს კლასების განაწილება, მინიმალური ტექნიკური მოთხოვნები და ზღვრული ფლობის ღირებულება დანართი №2-ის შესაბამისად.

მუხლი 3. რეკომენდაცია მიეცეს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელ ორგანოს, სამორიგეო მანქანების რაოდენობის განსაზღვრისა და გამწესების შემდეგ,

შესაბამისი ცვლილებები განახორციელოს საწვავის ლიმიტების დამდგენ სამართლებრივ აქტში და აღნიშნული ლიმიტები მიმართოს სამორიგეო მანქანების ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად.

მუხლი 4. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელმა ორგანომ მოახდინოს არარენტაბელური და ექსპლოატაციისათვის გამოუყენებელი ავტოსატრანსპორტო საშუალებების ინვენტარიზაცია აუქციონის წესით მათი შემდგომი რეალიზაციის მიზნით.

მუხლი 5. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე
დავით დარჩია

დანართი №1

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების სამსახურებრივი უფლებამოსილებების განსახორციელებლად საჭირო ავტოპარკის გადანაწილებისა და კლასიფიკაციის წესი

მუხლი 1. მოქმედების სფერო

ოზურგეთის მუნიციპალური ავტოპარკის გადანაწილებისა და კლასიფიკაციის წესი (შემდგომში-წესი) ადგენს ერთიან სტანდარტს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ორგანოებისათვის მსუბუქი ავტომობილების განპიროვნებული და მორიგე ფუნქციების გადანაწილებისას, ახდენს ავტომობილების კლასიფიკაციას და კლასების განაწილებას, განსაზღვრავს მინიმალურ ტექნიკურ მოთხოვნებს და ზღვრული ფლობის ღირებულებას.

მუხლი 2. ტერმინთა განმარტებები

ამ წესში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

ა) მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო - მერი:

ბ) მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანო - საკრებულო;

გ) განპიროვნებული ავტომობილი - ავტოსატრანსპორტო საშუალება, რომელიც იმყოფება ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმართველობის ორგანოების ბალანსზე და გადაცემულია სამსახურებრივ დროებით სარგებლობაში კონკრეტულ თანამდებობის პირებზე;

დ) სამორიგეო ავტომობილი - ზოგადი სამსახურებრივი საჭიროებიდან გამომდინარე დაკისრებული სამსახურებრივი მოვალეობების შესასრულებლად განკუთვნილი ავტოსატრანსპორტო საშუალება, რომელიც არ განეკუთვნება განპიროვნებული ავტომობილების რიცხვს და გამოიყოფა ყოველი კონკრეტული მოთხოვნის საფუძველზე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის ან საკრებულოს კონკრეტულ თანამშრომელზე;

ე) საშტატო რიცხოვნობა - ფაქტიურ საშტატო რიცხოვნობას გამოკლებული

განპიროვნებული ავტომობილებით უზრუნველყოფილი საშტატო რიცხოვნობა.

მუხლი 3. განპიროვნებული ავტომობილით მოსარგებლე თანამდებობის პირები

განპიროვნებული ავტომობილი შეიძლება გააჩნდეს შემდეგ თანამდებობის პირებს:

ა) ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერი, მერის მოადგილეები;

ბ) ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელები;

გ) ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, თავმჯდომარის მოადგილეები;

დ) ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიების/ფრაქციების თავმჯდომარეები;

ე) ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (აპარატის უფროსი).

მუხლი 4. სამორიგეო ავტომობილს რაოდენობის განსაზღვრისა და გამოყენების წესი

1. სამორიგეო ავტომობილის რიცხვი დგინდება შემდეგი პროპორციით: 100 საშტატო რიცხოვნობამდე დაწესებულების შემთხვევაში - 1 ავტომობილი ყოველ 20 საშტატო ერთეულზე, ხოლო ყოველ დანარჩენ 50 საშტატო ერთეულზე დამატებით 1 ავტომობილი.

2. სამორიგეო ავტომობილების რიცხოვნობის გაანგარიშებისას წილადი შედეგის მიღებისას დამრგვალება ხდება არითმეტიკული წესის მიხედვით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც გაანგარიშების შედეგი ნაკლებია 1-ზე, როდესაც დამრგვალება, მიუხედავად მეათედის ოდენობისა ხდება 1 მთელამდე.

3. ზამთრის პერიოდში კლიმატური და რელიეფური თავისებურების გათვალისწინებით ,დასაშვებია მორიგე მაღალი გამავლობის ავტომობილების არსებობა, რომელიც შეესაბამება სეზონური და რელიეფური ავტომობილის კლასს.

მუხლი 5. ავტომობილის კლასიფიკაციისა და შესყიდვის წესი

ავტომობილის კლასი არის დადგენილი მინიმალური სპეციფიკაციისა და ავტომობილის ფლობის ღირებულების შესაბამისად განპიროვნებული და სამორიგეო საჭიროების მსუბუქი ავტომობილების სტანდარტი, რომელიც საყოველთაოა ადმინისტრაციული დანიშნულებისათვის.

ავტომობილის კლასიფიკაციის წესი ადგენს მინიმალურ ტექნიკურ მოთხოვნებს თითოეული კლასისათვის, რომელიც შემდგომ გამოყენებულ იქნება ავტოსატრანსპორტო საშუალებების სახელმწიფო შესყიდვის განხორციელებისათვის საჭირო დოკუმენტაციის შედგენისას. ავტოსატრანსპორტო საშუალებების სახელმწიფო შესყიდვის განხორციელების პროცესში (შესაბამის ეტაპზე) პრეტენდენტებს უფლება აქვთ წარმოადგინონ ისეთი სატენდერო წინადადება, რომელშიც გაუმჯობესებული იქნება მინიმალური ტექნიკური მოთხოვნები, (გაუმჯობესებულ ვარიანტად ჩაითვლება ძრავის კუბატურის ან ცხენის ძალის ზრდა, ავტომატური კოლოფის შეთავაზება, მექანიკური კოლოფის შემთხვევაში, 5 საფეხურზე მეტი გადაცემის შემთხვევა), აღნიშნული გარემოება არ განაპირობებს შესყიდვებში მონაწილის უპირატესობას. ავტოსატრანსპორტო საშუალებების შესყიდვა მოხდება ,,სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებით გასატარებელი ზოგიერთი ღონისძიების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 19 თებერვლის N90 დადგენილების მე-2 მუხლის ,,ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად.

1. ავტომობილის ფლობის ღირებულების ზღვრული ოდენობა დგინდება 150 ათას კილომეტრზე ავტომობილის ექსპლუატაციით გამოწვეული საგარანტიო მოთხოვნების შესაბამისი ხარჯის და ავტომობილის შესყიდვის ფასის ერთობლიობით. 150 ათას კილომეტრზე ფლობის ღირებულების კომპონენტებია:

ა)ავტომობილ შესყიდვის ფასი;

ბ) ძრავის ზეთის ხარჯი;

გ) ძრავის ზეთის ფილტრების ხარჯი;

დ) წინა და უკანა ხუნდების ხარჯი;

ე) ჰაერის ფილტრის ხარჯი;

ვ) კონდინციონერის ფილტრის ხარჯი;

ზ) ანთების სანთლები;,

თ) ძრავის ღვედი;

ი) საწვავის ხარჯი (შერეული წვის პირობებში) საპასპორტო მონაცემებით.

2. ავტომანქანის შესყიდვის დროს საწვავის ხარჯის დაანგარიშება მოხდება შესაბამისი რაოდენობის ნამრავლით ერთი ლიტრი საწვავის პირობით ფასზე, რომელიც ტოლია 2-ის.

დანართი №2

კლასების განაწილება, მინიმალური ტექნიკური მოთხოვნები და ზღვრული ფლობის ღირებულება

ეს დანართი განსაზღვრავს ავტომობილების კონკრეტული კლასისათვის მიკუთვნების კრიტერიუმებს, ასევე განსაზღვრული ნიშნით მათი თანამდებობრივი ან ზოგადი დანიშნულებით გამოყენების წინაპირობებს. ვალუტის კურსი წარმოადგენს ელექტრონული ტენდერის გამოცხადების დღისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილ გაცვლით კურსს.

მუხლი 1. II კლასის ავტომობილი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

ა) ზოგადი დანიშნულების:

ა.ა) სამორიგეო;

ა.ბ) მომარაგების;

ა.გ) თანამშრომლების ტრანსპორტირებისათვის ქვეყნის მასშტაბით;

ა.დ) მსუბუქი ავტომობილების მინიმალური ტექნიკური მოთხოვნები ცხრილი №1-ის შესაბამისად;

ა.ე) მსუბუქი მაღალი განმავლობის ავტომობილების მინიმალური ტექნიკური მოთხოვნები ცხრილი №2-ის შესაბამისად;

ა.ვ) ზღვრული ფლობის ღირებულება მსუბუქი ავტომობილებისათვის 26600 (ოცდაექვსი

ათას ექვსასი) დოლარის ეკვივალენტი ლარში;

ა.ზ) ზღვრული ფლობის ღირებულება მსუბუქი მაღალი გამავლობის ავტომობილებისათვის 32500 (ოცდათორმეტი ათას ხუთასი) დოლარის ეკვივალენტი ლარში.

განპიროვნებული:

ა) ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერი, მერის მოადგილე.

ბ) ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელი;

გ) ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, თავმჯდომარის მოადგილე.

მუხლი 2. III კლასის ავტომობილები უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

ა) ზოგადი დანიშნულების:

ა.ა) სამორიგეო;

ა.ბ) მომარაგების;

ა.გ) თანამშრომლების ტრანსპორტირებისათვის ქვეყნის მასშტაბით;

ა.დ) მინიმალური ტექნიკური მოთხოვნები – ცხრილი №3-ის შესაბამისად;

ა.ე) ზღვრული ფლობის ღირებულება 21 000 (ოცდაერთი ათასი) აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარში.

III კლასის მსუბუქი მაღალი გამავლობის ავტომობილის მინიმალური ტექნიკური მოთხოვნები განსაზღვრულია ცხრილი №4-ის შესაბამისად.

III კლასის მსუბუქი მაღალი გამავლობის ავტომობილის ზღვრული ფლობის ღირებულებაა 29600 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარში.

მუხლი 3. სპეციალიზებული კლასის ავტომობილებია:

ა) ავტომობილი, რომელიც გამოიყენება სპეციალური დანიშნულებით, კონკრეტული საქმიანობის შესასრულებლად;

ბ) პიკაპი;

გ) სპეციალიზებული კლასის ავტომობილის ზღვრული ფლობის

ღირებულებაა 34 800 (ოცდათოთხმეტი ათას რვაასი) აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარი;

დ) სპეციალიზებული კლასის ავტომობილების მინიმალური ტექნიკური მოთხოვნები განსაზღვრულია ცხრილი №5-ის შესაბამისად.

მუხლი 4. შესასყიდი ყველა კლასის ავტომობილი შეიძლება იყოს ნებისმიერი ფერის, გარდა შავისა.

მუხლი 5. შესასყიდი ყველა კლასის ავტომობილი უნდა იყოს მარცხენასაჭიანი.

ცხრილი №1

II კლასის მსუბუქი ავტომობილი	
ცხენის ძალა არანაკლებ	105
გადაცემათა კოლოფი	მექანიკური, არანაკლებ 5-საფეხურიანი
სიგრძე არანაკლებ	4483
სიგანე არანაკლებ	1760
სიმაღლე არანაკლებ	1445
საგარანტიო პირობები	5 წელი ძირითად აგრეგატებზე (ძრავა, ხიდი, გადაცემათა კოლოფი), 3 წელი ან 150000 კილომეტრი (რომელიც ადრე შესრულდება) სრულ ავტომანქანაზე, გარდა სწრაფცვეთადი ნაწილებისა და მასალებისა (ანტიფრიზი, ფრეონი, საბურავები, ელექტრო ნათურები, ელექტრო მცველები, შუშის საწმენდი ჯაგრისები, გადაცემათა კოლოფის გადაბმულობის ქურო, გადაცემათა კოლოფის მომჭიმი საკისარი, გადაცემათა კოლოფის გადაბმულობის დისკი და საყრდენი დისკი)
უსაფრთხოების დამადასტურებელ დოკუმენტად შეიძლება ჩაითვალოს შემოთავაზებული მოდელის ნებისმიერ მოდიფიკაციაზე აღებული შესაბამისი ქრაშტესტის სერტიფიკატი	NCAP (ევრო ქრაშტესტი), IIHS (ამერიკული ქრაშტესტი) ან JNCAP (იაპონური ქრაშტესტი)
ელექტრო შუშები	ოთხივე
აუცილებელი მოთხოვნა	სათადარიგო საბურავი

აუცილებელი მოთხოვნა	მინიმუმ 4 უსაფრთხოების ბალიში
აუცილებელი მოთხოვნა	კონდიციონერი
აუცილებელი მოთხოვნა	აუდიო სისტემა
აუცილებელი მოთხოვნა	საჭის გამაძლიერებელი
აუცილებელი მოთხოვნა	ABS (მოცურების საწინააღმდეგო სისტემა)
აუცილებელი მოთხოვნა	უკანა საქარე მინის ელ. გათბობა

ცხრილი №2

II კლასის მაღალი გამავლობის მსუბუქი ავტომობილი	
ცხენის ძალა არანაკლებ	120
გადაცემათა კოლოფი	მექანიკური, არანაკლებ 5-საფეხურიანი
სიგრძე არანაკლებ	4223
სიგანე არანაკლებ	1765
სიმაღლე არანაკლებ	1570
საგარანტიო პირობები	5 წელი ძირითად აგრეგატებზე (ძრავა, ხიდი, გადაცემათა კოლოფი), 3 წელი ან 150000 კილომეტრი (რომელიც ადრე შესრულდება) სრულ ავტომანქანაზე, გარდა სწრაფცვეთადი ნაწილებისა და მასალებისა (ანტიფრიზი, ფრეონი, საბურავები, ელექტრო ნათურები, ელექტრო მცველები, შუშის საწმენდი ჯაგრისები, გადაცემათა კოლოფის გადაბმულობის ქურო, გადაცემათა კოლოფის მომჭიმი საკისარი, გადაცემათა კოლოფის გადაბმულობის დისკი და საყრდენი დისკი);

უსაფრთხოების დამადასტურებელ დოკუმენტად შეიძლება ჩაითვალოს შემოთავაზებული მოდელის ნებისმიერ მოდიფიკაციაზე აღებული შესაბამისი ქრაშტესტის სერტიფიკატი	NCAP (ევრო ქრაშტესტი), IIHS (ამერიკული ქრაშტესტი) ან JNCAP (იაპონური ქრაშტესტი)
ელექტრო შუშები	ოთხივე
აუცილებელი მოთხოვნა	სათადარიგო საბურავი
აუცილებელი მოთხოვნა	მინიმუმ 4 უსაფრთხოების ბალიში
აუცილებელი მოთხოვნა	კონდიციონერი
აუცილებელი მოთხოვნა	აუდიო სისტემა
აუცილებელი მოთხოვნა	საჭის გამაძლიერებელი
აუცილებელი მოთხოვნა	უკანა საქარე მინის ელ. გათბობა
აუცილებელი მოთხოვნა	ABS (მოცურების საწინააღმდეგო სისტემა)
აუცილებელი მოთხოვნა	4X4

ცხრილი №3

III კლასის მსუბუქი ავტომობილი	
ცხენის ძალა არანაკლებ	75
გადაცემათა კოლოფი	მექანიკური, არანაკლებ 5-საფეხურიანი
სიგრძე არანაკლებ	3840
სიგანე არანაკლებ	1695
სიმაღლე არანაკლებ	1450

საგარანტიო პირობები	5 წელი ძირითად აგრეგატებზე (ძრავა, ხიდი, გადაცემათა კოლოფი), 3 წელი ან 150000 კილომეტრი (რომელიც ადრე შესრულდება) სრულ ავტომანქანაზე, გარდა სწრაფცვეთადი ნაწილებისა და მასალებისა (ანტიფრიზი, ფრეონი, საბურავები, ელექტრო ნათურები, ელექტრო მცველები, შუშის საწმენდი ჯაგრისები, გადაცემათა კოლოფის გადაბმულობის ქურო, გადაცემათა კოლოფის მომჭიმი საკისარი, გადაცემათა კოლოფის გადაბმულობის დისკი და საყრდენი დისკი);
უსაფრთხოების დამადასტურებელ დოკუმენტად შეიძლება ჩაითვალოს შემოთავაზებული მოდელის ნებისმიერ მოდიფიკაციაზე აღებული შესაბამისი ქრაშტესტის სერტიფიკატი	NCAP (ევრო ქრაშტესტი), IIHS (ამერიკული ქრაშტესტი) ან JNCAP (იაპონური ქრაშტესტი)
ელექტრო შუშები	მინიმუმ წინა ორი
აუცილებელი მოთხოვნა	სათადარიგო საბურავი
აუცილებელი მოთხოვნა	წინა 2 უსაფრთხოების ბალიში
აუცილებელი მოთხოვნა	კონდიციონერი
აუცილებელი მოთხოვნა	აუდიო სისტემა, უკანა საქარე მინის ელ. გათბობა
აუცილებელი მოთხოვნა	საჭის გამაძლიერებელი
აუცილებელი მოთხოვნა	ABS (მოცურების საწინააღმდეგო სისტემა)

ცხრილი №4

III კლასის მაღალი გამავლობის მსუბუქი ავტომობილი	
ცხენის ძალა არანაკლებ	82
გადაცემათა კოლოფი	მექანიკური, არანაკლებ 5-საფეხურიანი
სიგრძე არანაკლებ	3665
სიგანე არანაკლებ	1600

სიმაღლე არანაკლებ	1575
საგარანტიო პირობები	5 წელი ძირითად აგრეგატებზე (ძრავა, ხიდი, გადაცემათა კოლოფი), 3 წელი ან 150000 კილომეტრი (რომელიც ადრე შესრულდება) სრულ ავტომანქანაზე, გარდა სწრაფცვეთადი ნაწილებისა და მასალებისა (ანტიფრიზი, ფრეონი, საბურავები, ელექტრო ნათურები, ელექტრო მცველები, შუშის საწმენდი ჯაგრისები, გადაცემათა კოლოფის გადაბმულობის ქურო, გადაცემათა კოლოფის მომჭიმი საკისარი, გადაცემათა კოლოფის გადაბმულობის დისკი და საყრდენი დისკი);
უსაფრთხოების დამადასტურებელ დოკუმენტად შეიძლება ჩაითვალოს შემოთავაზებული მოდელის ნებისმიერ მოდიფიკაციაზე აღებული შესაბამისი ქრაშტესტის სერტიფიკატი	NCAP (ევრო ქრაშტესტი), IIHS (ამერიკული ქრაშტესტი) ან JNCAP (იაპონური ქრაშტესტი)
ელექტრო შუშები	მინიმუმ წინა ორი
აუცილებელი მოთხოვნა	სათადარიგო საბურავი
აუცილებელი მოთხოვნა	წინა 2 უსაფრთხოების ბალიში
აუცილებელი მოთხოვნა	კონდიციონერი
აუცილებელი მოთხოვნა	აუდიო სისტემა, უკანა საქარე მინის ელ. გათბობა
აუცილებელი მოთხოვნა	საჭის გამაძლიერებელი
აუცილებელი მოთხოვნა	ABS (მოცურების საწინააღმდეგო სისტემა)
აუცილებელი მოთხოვნა	4X4

ცხრილი №5

სპეციალიზებული კლასის ავტომობილი	
ცხენის ძალა არანაკლებ	102
გადაცემათა კოლოფი	მექანიკური, არანაკლებ 5-საფეხურიანი
სიგრძე არანაკლებ	5000

სიგანე არანაკლებ	1755
სიმაღლე არანაკლებ	1760
უსაფრთხოების დამადასტურებელ დოკუმენტად შეიძლება ჩაითვალოს შემოთავაზებული მოდელის ნებისმიერ მოდიფიკაციაზე აღებული შესაბამისი ქრაშტესტის სერტიფიკატი	NCAP (ევრო ქრაშტესტი), IIHS (ამერიკული ქრაშტესტი) ან JNCAP (იაპონური ქრაშტესტი)
საგარანტიო პირობები	5 წელი ძირითად აგრეგატებზე (ძრავა, ხიდი, გადაცემათა კოლოფი), 3 წელი ან 150000 კილომეტრი (რომელიც ადრე შესრულდება) სრულ ავტომანქანაზე, გარდა სწრაფცვეთადი ნაწილებისა და მასალებისა (ანტიფრიზი, ფრეონი, საბურავები, ელექტრო ნათურები, ელექტრო მცველები, შუშის საწმენდი ჯაგრისები, გადაცემათა კოლოფის გადაბმულობის ქურო, გადაცემათა კოლოფის მომჭიმი საკისარი, გადაცემათა კოლოფის გადაბმულობის დისკი და საყრდენი დისკი);
ელექტრო შუშები	მინიმუმ წინა ორი
აუცილებელი მოთხოვნა	სათადარიგო საბურავი
აუცილებელი მოთხოვნა	მინიმუმ 2 უსაფრთხოების ბალიში
აუცილებელი მოთხოვნა	კონდიციონერი
აუცილებელი მოთხოვნა	აუდიოსისტემა
აუცილებელი მოთხოვნა	საჭის გამაძლიერებელი
აუცილებელი მოთხოვნა	ABS
აუცილებელი მოთხოვნა	4X4 მექანიკური ჩართვის და გამორთვის ფუნქციით
აუცილებელი მოთხოვნა	საჭის სიმაღლის მარეგულირებელი
აუცილებელი მოთხოვნა	სარკეების ელ. რეგულირება
სპეციალიზებული კლასის ავტომობილი	
ცხენის ძალა არანაკლებ	102
გადაცემათა კოლოფი	მექანიკური, არანაკლებ 5-საფეხურიანი
სიგრძე არანაკლებ	5000
სიგანე არანაკლებ	1755
სიმაღლე არანაკლებ	1760

უსაფრთხოების დამადასტურებელ დოკუმენტად შეიძლება ჩაითვალოს შემოთავაზებული მოდელის ნებისმიერ მოდიფიკაციაზე აღებული შესაბამისი ქრაშტესტის სერტიფიკატი	NCAP (ევრო ქრაშტესტი), IIHS (ამერიკული ქრაშტესტი) ან JNCAP (იაპონური ქრაშტესტი)
საგარანტიო პირობები	5 წელი ძირითად აგრეგატებზე (ძრავა, ხიდი, გადაცემათა კოლოფი), 3 წელი ან 150000 კილომეტრი (რომელიც ადრე შესრულდება) სრულ ავტომანქანაზე, გარდა სწრაფცვეთადი ნაწილებისა და მასალებისა (ანტიფრიზი, ფრეონი, საბურავები, ელექტრო ნათურები, ელექტრო მცველები, შუშის საწმენდი ჯაგრისები, გადაცემათა კოლოფის გადაბმულობის ქურო, გადაცემათა კოლოფის მომჭიმი საკისარი, გადაცემათა კოლოფის გადაბმულობის დისკი და საყრდენი დისკი);
ელექტრო შუშები	მინიმუმ წინა ორი
აუცილებელი მოთხოვნა	სათადარიგო საბურავი
აუცილებელი მოთხოვნა	მინიმუმ 2 უსაფრთხოების ბალიში
აუცილებელი მოთხოვნა	კონდიციონერი
აუცილებელი მოთხოვნა	აუდიოსისტემა
აუცილებელი მოთხოვნა	საჭის გამაძლიერებელი
აუცილებელი მოთხოვნა	ABS
აუცილებელი მოთხოვნა	4X4 მექანიკური ჩართვის და გამორთვის ფუნქციით
აუცილებელი მოთხოვნა	საჭის სიმაღლის მარეგულირებელი
აუცილებელი მოთხოვნა	სარკეების ელ. რეგულირება
სპეციალიზებული კლასის ავტომობილი	
ცხენის ძალა არანაკლებ	102
გადაცემათა კოლოფი	მექანიკური, არანაკლებ 5-საფეხურიანი
სიგრძე არანაკლებ	5000
სიგანე არანაკლებ	1755
სიმაღლე არანაკლებ	1760

უსაფრთხოების დამადასტურებელ დოკუმენტად შეიძლება ჩაითვალოს შემოთავაზებული მოდელის ნებისმიერ მოდიფიკაციაზე აღებული შესაბამისი ქრაშტესტის სერტიფიკატი	NCAP (ევრო ქრაშტესტი), IIHS (ამერიკული ქრაშტესტი) ან JNCAP (იაპონური ქრაშტესტი)
საგარანტიო პირობები	5 წელი ძირითად აგრეგატებზე (ძრავა, ხიდი, გადაცემათა კოლოფი), 3 წელი ან 150000 კილომეტრი (რომელიც ადრე შესრულდება) სრულ ავტომანქანაზე, გარდა სწრაფცვეთადი ნაწილებისა და მასალებისა (ანტიფრიზი, ფრეონი, საბურავები, ელექტრო ნათურები, ელექტრომცველები, შუშის საწმენდი ჯაგრისები, გადაცემათა კოლოფის გადაბმულობის ქურო, გადაცემათა კოლოფის მომჭიმი საკისარი, გადაცემათა კოლოფის გადაბმულობის დისკი და საყრდენი დისკი);
ელექტრო შუშები	მინიმუმ წინა ორი
აუცილებელი მოთხოვნა	სათადარიგო საბურავი
აუცილებელი მოთხოვნა	მინიმუმ 2 უსაფრთხოების ბალიში
აუცილებელი მოთხოვნა	კონდიციონერი
აუცილებელი მოთხოვნა	აუდიოსისტემა
აუცილებელი მოთხოვნა	საჭის გამაძლიერებელი
აუცილებელი მოთხოვნა	ABS
აუცილებელი მოთხოვნა	4X4 მექანიკური ჩართვის და გამორთვის ფუნქციით
აუცილებელი მოთხოვნა	საჭის სიმაღლის მარეგულირებელი
აუცილებელი მოთხოვნა	სარკეების ელ. რეგულირება

განმარტებითი ბარათი

„ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების სამსახურებრივი უფლებამოსილებების განსახორციელებლად საჭირო ავტოპარკის გადანაწილებისა და კლასიფიკაციის წესის დამტკიცების შესახებ“-მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტზე

(განმარტებითი ბარათი შედგენილია ,,ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-17 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად).

1. **პროექტის წარმდგენი:**

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერი - პაატა კუნჭულია

2. **პროექტის ავტორი და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე დანიშნული მომხსენებელი:**

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის უფროსი- გენო მორჩილაძე

3. **პროექტის მიღების (გამოცემის) მიზეზი და მისი ძირითადი დამახასიათებელი ნიშნები:**

ა) პროექტის მიღების მიზეზი:

ოზურგეთის მუნიციპალური ავტოპარკის გადანაწილებისა და კლასიფიკაციის წესი (შემდგომში-წესი) ადგენს ერთიან სტანდარტს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ორგანოებისათვის მსუბუქი ავტომობილების განპიროვნებული და მორიგე ფუნქციების გადანაწილებისას, ახდენს ავტომობილების კლასიფიკაციას და კლასების განაწილებას, განსაზღვრავს მინიმალურ ტექნიკურ მოთხოვნებს და ზღვრული ფლობის ღირებულებას.

ამდენად, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო უფლებამოსილია მიიღოს წარმოდგენილი სამართლებრივი აქტის პროექტი.

ბ) პროექტის ძირითადი დამახასიათებელი ნიშნები:

ბ.ა ერთიანი და მკაფიო სტანდარტი - წესრიგდება მუნიციპალური ავტოპარკის მართვა, ავტომობილების გადანაწილება, კლასიფიკაცია და გამოყენება.

გამჭვირვალობა და სამართლიანობა – მკაფიოდ არის განსაზღვრული ვის ეკუთვნის განპიროვნებული და ვის – სამორიგეო ავტომობილი.

რაციონალური დაგეგმვა – სამორიგეო ავტომობილების რაოდენობა დამოკიდებულია საშტატო რიცხოვნობაზე, რაც თავიდან იცილებს ზედმეტ ხარჯებს.

კლასიფიკაცია საჭიროებაზე მორგებით – ავტომობილები იყოფა II, III და სპეციალიზებულ კლასებად, დანიშნულებისა და ფუნქციის მიხედვით.

ფინანსური კონტროლი – შემოღებულია ავტომობილის *ფლობის ზღვრული ღირებულება*, რაც ამცირებს არაგონივრულ ხარჯვას.

ტექნიკური მინიმუმის დაცვა – განსაზღვრულია აუცილებელი ტექნიკური მოთხოვნები თითოეული კლასისთვის.

ადგილობრივი პირობების გათვალისწინება – ზამთრის და რელიეფური თავისებურებების გამო დაშვებულია მაღალი გამავლობის ავტომობილები.

4. იმ შედეგების საფინანსო-ეკონომიკური გაანგარიშება, რომლებსაც გამოიწვევს წარმოდგენილი პროექტის მიღება (გამოცემა):

ა) პროექტის მიღება არ გამოიწვევს ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსავლების ზრდას.

ბ) პროექტის მიღება არ გამოიწვევს ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯების ზრდას.

5. არსებობის შემთხვევაში, ევროკავშირის ის სამართლებრივი აქტი, რომელთან დაახლოების ვალდებულებაც გამომდინარეობს „ერთი მხრივ, საქართველოსა და, მეორე მხრივ, ევროკავშირსა და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებიდან“ ან ევროკავშირთან დადებული საქართველოს სხვა ორმხრივი და მრავალმხრივი ხელშეკრულებებიდან.

ასეთ გარემოებას ადგილი არა აქვს.

6. ქალისა და მამაკაცის თანასწორობის მდგომარეობაზე კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის პროექტის მოსალოდნელი ზეგავლენის შეფასება.

ნორმატიული აქტის პროექტის მიღება ზეგავლენას არ მოახდენს ქალისა და მამაკაცის თანასწორობის მდგომარეობაზე.

7. განმარტებითი ბარათის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული ევროკავშირის სამართლებრივი აქტის არსებობის შემთხვევაში, მასთან შესაბამისობის ცხრილი, დანართი №1-ის შესაბამისად.

ასეთ გარემოებას ადგილი არა აქვს.

8. პროექტი სხვა ნორმატიულ აქტში იმ ცვლილების შეტანის შესახებ, რომელსაც გამოიწვევს წარდგენილი პროექტის მიღება (გამოცემა).

ასეთ გარემოებას ადგილი არა აქვს.

9. საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი სახელმწიფო ორგანოს დასკვნა წარდგენილი პროექტის საქართველოს კონსტიტუციასა და უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან შესაბამისობის შესახებ.

ასეთ გარემოებას ადგილი არა აქვს (დადგენილების პროექტზე საქართველოს კანონმდებლობა სახელმწიფო ორგანოს დასკვნას არ ითვალისწინებს).

10. ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე ნორმატიული აქტის ზეგავლენის შეფასება.

ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე ნორმატიული აქტის მიღება ზეგავლენას არ მოახდენს.